ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ივნისი

ნიანგი

11 1988

ნახ. დ. ერისთავისა



— ერთ საათში უსიკვდილოდ უნდა ამიყვანო ყაზ-
ბეგში!
— ერთ საათში და თანაც უსიკვდილოდ?!

რადიოს ჩივილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელეტონი

ქვირფასო „ნიანგო“! რა ვქნა, სხვა გზა არა მაქვს, ისე გამიჭირდა, ისევე შენ უნდა შეგაწუხო! ყველას ქომაგი და გამკითხავი ხარ და როგორ დავიჯერო, თითქმის შენთან ერთად დაბადებულსა და გაზრდილს არ გამომესარჩლები?! თანატოლობაზე ჩამოგიგდე სიტყვა და სანამ ამ ბარათს მოგწერდი, რამე არ შემეშალოსმეთქი, თავის დაზღვევის მიზნით ჩვენს ყოვლისმცოდნე ენციკლოპედიაში ჩავიხედე. იქაც ზუსტად იგივე წერია, რაც მე მახსოვს: ოცდასამში შენ ხარ დაბადებული, ოცდახუთში — მე (ათას ცხრაასის აქეთ, რა თქმა უნდა). ჰოდა, რა გასაკვირია, ჩემი გაჭირვება სიყრმის მეგობარს გაგანდო. ამჯერად ამ ბარათს **სამტრედიის რაიონიდან** გიგზავნი. ლირიკული შესავლით თავი რომ არ შეგაწყინო, პირდაპირ საქმეზე გადავალ: ვის-ვის და, მე და შენ ხომ კარგად გვახსოვს 20-30-იან წლებში, ტექნიკისა და კადრების ნაკლებობის პირობებშიც კი, რა თავგამოდებით ვმუშაობდი — ხეზე ვეკიდე, სვეტზე თუ ოთახში, ხმაც კარგი მქონდა და დიქციაც. თავის ქება კიტრიაო, მეც გამიგონია, მაგრამ ომის წლებში რომ ჩემი დამსახურება სრულიად განსაკუთრებულია, მგონი სადავო არ უნდა იყოს. შენც ხომ გახსოვს, როგორ ვუყვარდი ხალხს, დიდი და პატარა, სოფელი და ქალაქი ჩემზე იყო მოყურადებული. მეც ვცდილობდი და, შეძლებისდაგვარად სანუგეშო ამბებს ვავუწყებდი ხალხს. როცა საჭირო იყო, ვმღეროდი, ვცეკვავდი, ცნობებსა და ინფორმაციებს გადმოვცემდი!.. ხალხმა ისე შემიყვარა, ლექსებსაც კი მიძღვნიდნენ. ლექსები იქით იყოს და ზოგჯერ სიმღერ-სიმღერით ასეთ დავალებებსაც შემომაპარებდნენ ხოლმე: **„რადიო რადიო, გერმანიას წადიო, ჰიტლერსა ასე უთხარი ტანტიდან ჩამობრძანდიო!“**

თუ როგორ შევასრულე ეს დავალება, თვით მამაძაღლი ჰიტლერის მუქარიდანაც ჩანს — როგორც კი საბჭოთა კავშირს დავიპყრობ, პირველ რიგში ლევიტანს ჩამოვახრჩობო, გაიძახოდა!.. ეჰ! რაც იყო, იყო! ჯოჯოხეთია მოსაგონებლად! იმ საშინელ ომში არც შენ მჯდარხარ გულხელდაკრეფილი! და მაინც ნანატრი გამარჯვების მოპოვებაში ადამიანების შემდეგ პირველი ადგილი უსათუოდ მე მეკუთვნის! ის კი არა, ღმერთია მოწამე, გარკვეული მიზეზების გამო თვით ტელევიზორსაც არ ამოეღება ხმა ჩემს წინაშე!..

ახლა კი, როცა ტექნიკაც მეტი გვაქვს და კადრებიც, ნუ იკითხავ, იმდენი გვყავს, ყოვლად გაუმართლებელი მიზეზების გამო რა ხანია ხმა ჩამაწყვეტინეს და კაციშვილი არაა ჩემი გამკითხავი! ისე მაქვს ხმა ჩახლეჩილი, არ ვიცი, ამ სიშორიდან მოვახერხებ კი ხმის მოწვდენას? რაიონის ცენტრში და მის შემოგარენში კიდევ არა მიშავს, ჩურჩულით მაინც ვახერხებ მოსახლეობასთან კონტაქტის დამყარებას, მოშორებით კი ნუ მკითხავ!.. ამას წინათ შენი სპეციალური კორესპონდენტი იყო ჩამოსული ჩვენთან და იცით, რა უთხრეს რაიონის კავშირგაბმულობის კვანძის მუშაკებმა? (მიყურადებას უტაქტობაში ნუ ჩამომართმევ, მაინც უქმად ვიყავი კედელზე ჩამოკიდებული და სხვა რა მექნა) — **სოფელ ტოლებში, ილორში, ნაფალაურში, მელაურში, ეწერში, ჯიხაიშში, იანეთში და სხვაგან რადიო იმიტომ არ მუშაობს, რომ ამ ორიოდე წლის წინ რაიონის ცენტრში, ლენინის ქუჩაზე ტროლეიბუსის ახალი ხაზი გაიყვანესო!..** კინაღამ გავგიჟდი, ეს რომ გავიგონე! ვიფიქრე, ხმა არ მქონდეს ჩაწყვეტილი! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს-მეთქი! ისე, ჩვენში დარჩეს და, ხმის ამოღებას თუ მოვესწარი, პირველ რიგში იმას ვიყვირებ, თქვე სულწაწყმედილებო, ჩემს ხმას მონატრებულ სოფლის მშრომელებს რაღას ემართლებით, წლების მანძილზე რადიოს გადასახადს ტყუილად რად ახდევინებთ-მეთქი?!.

ახლა კი, ძმაო, შენ რომ არ იფიქრო, დაბერდა და მარტო საკუთარ თავზე წუწუნებსო, ორიოდე სიტყვა ჩვენს ძმასა და მეგობარზე — **ტელეფონზეც** — უნდა მოგწერო. ხომ იცი, მაგას უფრო მოზრდილ ქალაქებში აქვს დიდი ხმა და გული, თორემ პატარა რაიონებსა და სოფლებში სიმორცხვისაგან აგერ-ეგერ თუ წაიჩურჩულებს ორიოდე სიტყვას!.. ამიტომაცაა, რომ ამ ბოლო ხანებში სულ მთლად განუკითხაობისა და უსამართლობის მსხვერპლი გახდა ეგ საცოდავი! როგორც ზემოთაც გწერდი, მე საწყალს ხმა მაქვს ჩავარდნილი, თორემ შეხედვით, გიყვარდეს, ყველაფერს ვხედავ. სულ ზეპირად ვიცი, ვინ რა მაქინაციებით დაიდგა ტელეფონი მეზობლებთან საჭორაოდ!.. თუმცა მოდი, ამაზე სიტყვას ნუ გამაგრძელებინებ, თორემ, ვაითუ, იმისთანა რამერუმეები წამომცდეს!.. არა, თავად განსაჯე, თუ კაცი ხარ, ჩვენ რო ვიცით, იმისთანა ვიღაცეებს რომ დაუდგეს ტელეფონი, ამ დროს, დღისით მზისით, სკოლა და საბავშვო ბაღი კაციშვილს არ გახსენებია! კაი ერთი, სასწაულს ნუ მეუბნებიო, გაცხარდები ახლა შენ! ერთი მაგალითი მაინც დამისახელეო, მეტყვი! კი ბატონო! ერთსაც მოგახსენებ და ორსაც: **სამტრედიის №1 არასრული საშუალო სკოლა (სოფელ ეწერისა და მელაურის საზღვარზე რომ დგას), სამტრედიის №5 საბავშვო ბაღი, რომლის შესასვლელშიც ორი უზარმაზარი ფირნიში იქცევს ჩვენს ყურადღებას: „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს!“** და **„ხანძრის შემთხვევაში დარეკეთ 01“** (ესეც შენი ბედის ირონია!) ღმერთმა ნუ ქნას, აქ ხანძარი გაჩნდეს, თორემ სადაა ტელეფონი?! მიკვირს და გამკვირვებია, განა ვაძადლი! ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ, მაგრამ იქვე, სულ რაღაც სამასიოდე მეტრზე მდებარე **მეღორეობის საკონტროლო- საგამოცდო სადგურში თუ ტელეფონებიც უდგათ და რაციაც** (ექვსასი სული ღორი ჰყავთ!), ვითომ ბავშვებმა რაღა დაეაშავეს, მარტო ლოზუნგის ამარა რომ დავტოვეთ? ჩემი ღრმა რწმენით, ერთი ბავშვი მილიონ ღორზე მეტი ყურადღების ღირსია!

კაცმა რომ თქვას, რა ჩემი საქმეა, მაგრამ სიტყვას მოჰყვა და რაკი ყველაფერს ვხედავ, ბარემ იმასაც გეტყვი, რომ ეს **მეღორეობის ფერმა შუაგულ სოფელ მელაურშია ჩადგმული და ბუზებითა და შმორის სუნით ნამეტანი აწუხებს სოფლის მშრომელებს, განსაკუთრებით ზაფხულში, ქვენა ქარის დროს. თუმცა მალე იქვე მდებარე სოფელ ეწერშიც ამოქმედდება მსგავსი ფერმა და ე, მაშინ ნახე შენ, ორივე სოფელი რომ იქნება გარანტირებული ზენა და ქვენა ქარით მონაბერი ეპიდემიითა და შმორის სურნელებით! მე შენ გეტყვი, აქაური ტელეფონით არ მიაწვდინო ხმა, სადაც საჭიროა!..**

ამდენს რომ ვწუწუნებ, მთლად პესიმისტი გამხდარაო, კი არ იფიქრო! შენი არ იყოს, მეც იმედით ვცოცხლობ, ძმაო! ამ ბოლო ხანს მგონი რაღაც სასიკეთო ძვრები მართლაც ხდება: ჯერ იყო და, **სამტრედიის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსი გაათავისუფლეს თანამდებობიდან,** შემდეგ... თუმცა ჩემი აზრები რომ ტენდენციურად არ მოგეჩვენოს, რაიონულ გაზეთ **„წინსვლის“ 1988 წლის 26 მარტის ერთ-ერთი წერილიდან მოგაწვდი ცნობებს: „...თითოეული ჩვენგანისათვის კარგადაა ცნობილი, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენი რაიონის მოსახლეობის სატელეფონო მომსახურების პრობლემა უაღრესად გამწვავდა. არაერთი საგაზეთო პუბლიკაცია, მკითხველთა ათობით და ასობით წერილი და საჩივარი ნათლად წარმოაჩენდა სატელეფონო კავშირგაბმულობაში არსებულ ნაკლოვანებებს...**

რაიონული კვანძის შრომითი კოლექტივი მალე საკონკურსო წესით აირჩევს კვანძის ახალ ხელმძღვანელს. რედაქციას განზრახული აქვს, მოაწყოს საუბარი ახალარჩეულ ხელმძღვანელთან რაიონის კავშირგაბმულობის საჭირბოროტო საკითხებზე“.

როგორც ხედავ, მთლად უიმედოდაც არა ვარ, მაგრამ შენი ყურადღება მაინც ერთ რადიოფიცირებულ სოფლად მიღირს. მთელ იმედებს მომავალზე ვამყარებ და ვნახოთ. დანარჩენს მერე შეგატყობინებ. ნახვის ნატვრით მომიკითხე კავშირგაბმულობის სამინისტროს ის მუშაკები, რომლებზეც ჩემი ყოფნა-არყოფნაა დამოკიდებული სამტრედიის რაიონში!

ერთსაც გეტყვი: სხვამ იკითხოს, თორემ, როგორც გახსოვს, მე ყოველთვის ვლაპარაკობდი. ამიტომ ვარ განსაკუთრებით გულნატკენი, რაღა მაინდამაინც ახლა, ამ საჯაროობის დროს, როცა ლამის უთომაც ამოიდგას ენა, რაღა მე ჩამაწყვეტინეს ხმა?! რას იტყვის ხალხი?!

უტყვი რადიოს თხოვნით და დიდი იმედებით — ამირან კალაძე

ნახ. ბ. ზუგაშვილისა



„ნიანგის“ „ალბომ“ მიროიცვლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი კილასონიას

გვარად კილასონიაა
და სახელად ჰქვია ნაზი,
ეფინება საქართველოს
ნაზის ლექსი ფიანდაზად.

დაუღლელად მოღვაწეობს
ჟურნალ „საქართველოს ქალში“,
არის სამი ბიჭის დედა,
უნდა გვყავდეს მეცხრე ცაში!

დატვირთულა პოეზიით,
სამსახურით, სახლით, ბაზრით!
სამწუხაროდ, ჩვენ ცოტა გვყავს
დღეს პოეტი, ნაზის ფასი!

„საჭიროა გამრავლება!“ —
მოგვიწოდებს ლექსი მისი!

საჭიროა! საჭიროა! —
გვიჭირს! გვიჭირს! გვიჭირს!
გვიჭირს!..

უჩანს სამას არაგველად
ნაზის თვისი სამი ბიჭი!
„გაუმარჯოს გამრავლებას!“ —
ნაზი ამ დევიზით იწვის...

აქვს მზიური სევდისა და
იუმორის დიდი ნიჭიც,
მთელი საქართველო იცნობს
ნაზის ცრემლს და ნაზის სიცილს!

მეგობრული შარჟი
ბელა დურგლიშვილისა



ავტოშარჟი

საქართველოს სსრ სახელმწიფო სურათების გალერეის საგამოფენო დარბაზში მოეწყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სამრეწველო გრაფიკისა და შეფუთვის კათედრის პედაგოგის, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის, ცნობილი გრაფიკოსისა და კარიკატურისტის, ჟურნალ „ნიანგის“ მხატვარ-კორესპონდენტის **ზურაბ ფორჩხიძის** ნამუშევართა პერსონალური გამოფენა, რომელმაც დიდი მოწონება და ერთსულოვანი აღიარება დაიმსახურა.

ზურაბ ფორჩხიძეს

ზღაპრულ სამყაროს ქმნი აკვარელით,
კალმით, სანგვინით, გუაშით,
ტუშით... —
კაცი — კეთილი და საყვარელი
და ჩასაძვრენი სულშიც და გულშიც!
დიდ წინაპართა გმოსავს ნათელი,
ფრეთბშემსხმელიც ხარ მათი
ოცნების!..
„შენებრ ოსტატებს ზრდის
საქართველო,
სავსეს ქართული პატიოსნებით“!
ჩუმო მსახურო წიგნის გრაფიკის,
გროტესკისა და კარიკატურის,
თავმდაბალი ხარ, მაგრამ არ გიყვარს
„სუყველაფერზე თავის კანტური“!
მხატვრად შენ გირჩევს ბევრი
მწერალი,
შენც ხათრიანი,
მოკრძალებული —
ვერ ეუბნები უარს ვერავის,
გაქვს სამუშაო მოძალებული!..
შენითაც იბრძვის რადგან „ნიანგი“,
უნდა შენს ფოტოსურათს
ვკოცნიდეთ,
ნაღდი მხატვრის და ადამიანის
ოქროსინთეზო ზურაბ ფორჩხიძევ!

ზაურ შოლქვაძე

ვუნაცვალე პროტექციას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოველა

რაო, შ ე ც ბ ი თ, გლახა გუნებაზე დაგაყენეთ **პ რ ო ტ ე ქ ც ი ი ს** გაგონებაზე?

ათასი ბოდიში!..

მართლაც, **პ რ ო ტ ე ქ ც ი ა** რა მოსაწონი სიტყვაა და მით უფრო — მისგან გამომდინარე ნამოქმედარი. მაგრამ, თქვენ გენაცვალეთ, ამ შემთხვევაში, ფუი ეშმაკს!.. სამჯერ აქეთ-იქით გადამიფურთხებია, ცუდი არაფერი იფიქროთ!

ეს **პ რ ო ტ ე ქ ც ი ა**, ჩემო ბატონო, ის **პ რ ო ტ ე ქ ც ი ა** არაა. ის ავად სახსენებელი ნეგატიური ზნე და მანკიერება არ გახლავთ, არა, ინფექციური გრიპის ეპიდემიასავით რომ შემოგვეპარა და შეგვბოჭა პატიოსანი ხალხი, ზოგ-ზოგმა კი იმის ხარჯზე ხელიც კარგად მოითბო, დასახლდა, დამშვენდა, გაკეთდა, გამოიჭიმა მუხის სავარძელში, კაი სმა-ჭამა არ აკლია, მარტო თვითონ კი არა, თავის ცოლ-შვილსაც, ბიძაშვილ-ნათლიდედასაც, ეს რომ არ იკმარეს, ნაცნობ-უცნობიც თავზე წამოგვასვეს და ჰერი!.. ნავარდობენ, არც სახელი აკლიათ და არც პატივისცემა!..

შენ კი მისჩერებიხარ ამ უსინდისობას, პირში წყალი დაგიგუბებია და ასკილივით თავს აქნევ ყველაფერზე, ტაშსაც უკრავ, უღიმი და აქებ, შემთხვევით ფორტუნა ხელს თუ არ აუკრავს და საფეხურით კიდევ მაღლა რომ აპირებდა ასვლას, „ბრანც“ და ქვევით თუ არ დაეშვება, უკანასკნელ სავანემდეც მიაცილებ!..

პ რ ო ტ ე ქ ც ი ა კი ხითხითებს და თავის საქმეს განაგრძობს...

ბრუნდები იმ გასვენებიდან და რომ გგონია, ეს არის, ჭირი მოიშორე, დაგირეკავს ნაცნობი და დაბოღმილი ახალ ამბავს მოგახლის:

— საქმეა ახლა ეს?

— რა ხდება ჩვენს თავს?! — გულისფანცქალით ეკითხები.

— ერთი წავიდა და მეორე მოიყვანეს ტურფასა საბაღნაროსა, ისევ უღირსი, დაუმსახურებელი... და ისევ **პ რ ო ტ ე ქ ც ი ი ს** ხარჯზე!

— კაი რა!..

— არადა, გეკითხები, სული უნდა ამოგმხდეს ამ მოადგილის ადგილზე?

— დაგვჯაბნა, გაგვანადგურა **პ რ ო ტ ე ქ ც ი ა მ**, მიხედე, კაცო, თუ შეგიძლია, მიხედე, მიდექ-მოდექი!

— მე რა შემიძლია?..

— აბა, თუ არ შეგიძლია, რაღას იხეთქ მაგ ნაინფარქტალ გულს?

ეს გულისხეთქა, ჩემო ბატონო, სულ იმ ავად სახსენებელი **პ რ ო ტ ე ქ ც ი ი ს** მისამართითაა თქმული, ფუი ეშმაკს, მაგრამ... ეს **პ რ ო ტ ე ქ ც ი ა**, ამას ვენაცვალე, უჭირისუფლო ადამიანების ჭირისუფალი, ერთი ჩვენებური, გადასარევი გულის მანდილოსანია, რომელსაც დედამ საგანგებოდ დაარქვა ყველასგან გამორჩეული სახელი, რომ გამორჩეული გულისა ყოფილიყო და ისე თქვენ ყველა ნატვრა აგისრულდეთ, როგორც **პ რ ო ტ ე ქ ც ი ი ს** გამჩენ დედას შეუსრულდა სურვილი!

— ტექცია! — დაურეკავ ტელეფონით, შინაურულად, უბრალოდ, როგორც ვეძახით ჩვენებურები და ეტყვი, რომ დაგიგვიანეს სახალხოს წოდება ან ლაურეატობა და სიტყვა შეგაწიოს, ვისაც ჯერ არს, იმასთან.

ისიც უბრალოდ გიპასუხებს:

— ლექსი ან რომანი რომ გაგიშანშალო, არ გნებავს? — ცალი ყბით გიბრაზდება, მეორე ნახევრით კი გიღიმის, განიშნებს, არითმიას მიხედე, გულს ნუ იხეთქო!

— ტექცია... გავჩანაგდით, ჩემო სიყვარულო, ლამის არის, ქორწილში ნათესავების მოტანილი დანა-ჩანგალიც საკომისიოში გავარბენინო რეპეტიტორების ვალიდან თავის დასაძვრენად, ეს ჩვენი დებილი კი იჭრება!.. ბარემ შენ შეირგე ის ფული, ალალი იყოს!.. მე მოვკვდე, თუ გულით არ გლოცავდე!.. ყველა სწავლობს, ეს კი... სირცხვილით ნაცნობებისაკენ ვერ გამიხედავს, საქმეა ეს?

— ფული რა ჯანდაბად მინდა, ან შენ უცხო ხომ არ ხარ, არ მიცნობ, ამას რომ მაკადრებ? რომელი გამომძალველი მე მნახე?.. ის დანა-ჩანგალი კი ვერცხლისა თუ არის, რაღა საკომისიოში წასაღებად იმეტებ, მომიყარე სერვანტში, ცოდვა ხარ, არ იცი, რომ იქ მარტო ვიტრინაში გამოსაფენად შვიდ პროცენტს წაგგლეჯენ? და კიდევ... ქალო, ის ორი გორკა რომ წამოგიჭიმია როკოკოს სტილისა შენს სასადილოში, ერთი რომ მიწილადო, გაწყრება ვითომ ღმერთი?! — გადასარევი კისკისით გულს სიამით გიფენს ის დალოცვილი და გორკას კი არა, სულსაც არ დაუჭერ.

ჰოდა, ბევრი ფიქრის მერე, ბოლოს და ბოლოს, მეც შევაწუხე ის ჩვენებური, ოქრო გულის ქალი.

— ძალიან კი მერიდება, მაგრამ... ეგება მომიხერხო ზედსიძედ შესვლა მანქანიან, ბინიან და, რასაკვირველია, კაი თანამდებობის სასიმამროს ოჯახში, ტექცია!..

— აკადემიკოსის ქალიშვილი გნებავს? — წარბი შეიკრა ტექციამ.

— აკადემიკოსი კაია, მაგრამ მინისტრის ქალიშვილი რომ იყოს, ან პოეტის, ან ქარხნის დირექტორის, რა უშავს, უარს არ ვიტყვი! — ვითომ ვერ შევამჩნიე გაბრაზება ტექციას, მე ჩემი დავამღერე.

— ხანუმები სხვაგან მოიკითხე, მაგისთანა წვრილმანებით მე არ ვიტვირთავ თავს!.. პატრონი მოუკვდა თავმდაბლობას, მთლად გამიშინაურდით?!

— ტექცია, ძვირფასო, შენ რა, ერის გამრავლების წინააღმდეგი ხარ?!

— სარკეში ჩაიხედე და მერე მელაპარაკე! — მოკლედ მომიჭრა ჩვენებურმა და გაშპა.

რაღა დაგიმალოთ, ძალიან მეწყინა. კაცი ვარ და ქუდი მხურავს. მთლად არსენა მარაბდელს არ ვგავარ, მაგრამ არც ზოგიერთს ჩამოვრჩები. რა ვუყოთ, რომ შემაგვიანდა ცოლის შერთვა. პუშკინმა ხომ თქვა: „ლიუბვი ვსე ვოზრასტი პაკორნი“, ჰოდა, დრო მოვა დავქორწინდები. აი, ტექცია თუ დავითანხმე, დამეხმაროს იუბილეს გადახდაში, თარიღი კი, მართლაც, სოლიდურია: ამ წლის მესამე კვარტალში ჩვენს ტრესტში ექსპედიტორად მუშაობის დუჟინი მისრულდება, სრული თორმეტი წელი. ტექციას ვენაცვალე, ვენაცვლები კი არადა, ძეგლადაც გადავეფარები, ეგ თუ მომიხერხა! ჰოდა, ტელევიზიითაც თუ გამოაჩენენ იუბილეს, საცოლე თავისთავად გამოიძებნება!

ნანა კანდელაკი

ნახ. დ. ერისთავისა

კათხაიოგა

მთარგმნელთა დასახმარებლად

მოგეხსენებათ, ქ ა რ თ უ ლ საოპერო თეატრში ქართულად მხოლოდ ქართულ ოპერებს მღერიან, ხოლო არაქართულ ოპერებს არაქართულად მღერიან. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ქართული არ იციან ან არაქართული იციან, არამედ იმიტომ, რომ ლიბრეტოები არ არის არაქართულიდან ქართულად თარგმნილი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფიქრობენ ლიბრეტოების თარგმნას, მაგრამ თუ ფიქრობენ, ერთობ დიდი ხანია ფიქრობენ, ხოლო თუ არ ფიქრობენ, დიდი ხანია არ ფიქრობენ და უნდა იფიქრონ!

ცხადია, ლიბრეტო ადვილი სათარგმნი როდია: შინაარსის გარდა, სიტყვათა მუსიკალური შესაბამისობაც აუცილებელია. კეთილშობილური სურვილით ამოძრავებულებმა, გადავწყვიტეთ, დახმარება გავუწიოთ ლიბრეტოთა სათარგმნელად ასამოძრავებელ ამხანაგებს და შევთავაზოთ ოპერების სახელწოდებათა თარგმანები:

Травиата — **პატარ-პატარა ბალახები, ანუ ბალახისშვილები.**
Риголето — **ზაფხული რიგაში, ანუ ბალტიისპირული ზაფხული.**
Тоска — **დარდი.**
Трубадур — **სულელი გოგოების მილი.**
Отелло — **ვაიმე, სხეულო ან „ტანო ტატანო“...**

აკციპიტერი შემდგომშიც მზად არის დახმარება გაუწიოს ლიბრეტოების თარგმნის მსურველებს!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინიატიურები

— ბებიკო, ჩაუკავი ამ სამელნეში ცხვირი!
— რას ამბობ, შვილო, სად შემიძლია?!
— ჩაუკავი რა, ბები, გეხვეწები!
— ნუ სულელობ, არ შემიძლია!
— რატომ მატყუებ?! აკი დედა ამბობს, ყველაფერში ცხვირს ყოფსო?

x x x

— მამიკო, შეიძლება ადამიანს რქები ამოუვიდეს და დაბრმავდეს?
— დაბრმავება შეიძლება, მაგრამ რქებისა რა მოგახსენო!..
— რა კარგია! შენ არც ბრმა ხარ და არც რქები ამოგხვლია!
— რაო?!.
— ჭინო დეიდამ უთხრა ამ დილით დედიკოს, შენი რქოსანი ქმარი ბრმაააო!..

x x x

— მამიკო, ბებია რომ მოკვდება, ჩვენი მურიაც მოკვდება?
— უცნაური კითხვაა! რა თქმა უნდა, არა!
— მაშ, რატომ ეუბნება დედა ბებიკოს, ძაღლი მიგაკვდება სულშიო?

ბორის მათითაშვილი

(ქ. ხობუმი)

ეგოისტი

— მე დაგიბარეთ სკოლაში! რას ჰგავს ეს, როგორ ვერ მოგივლიათ ამ თითისტოლა ბავშვისთვის დედას, მამას, ბებიას, ბაბუას, ორ გაუთხოვარ და ერთ დედამთილისგან დაწუნებულ, უკან მობრუნებულ მამიდას! ეს ხომ მთელი კოლექტივია და თქვენი ბავშვის საქციელი რომ გავიგე, მთელ თქვენს ოჯახზე დამეკარგა წარმოდგენა! არასოდეს არ ხელმძღვანელობთ დევიზით — ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო!..

— რა მოხდა, პატივცემულო, ასეთი? რა გააკეთა ბავშვმა? გვითხარით, რა აკლია ჩვენს შვილს, და შევეცდებით!..

— ჰმ, აკლიაო! კიდევ მეკითხებით?! ნუთუ, აქამდე არ შეგიმჩნევიათ?! — აკლია ის, რაც ყველაზე მთავარია ადამიანისთვის ჩვენს საზოგადოებაში — კოლექტივიზმის გრძნობა! გუშინ მეზობლის ეზოდან მოპარული კაკალი ისე შეჭამა მარტომ, რომ არც ერთ ამხანაგს არ უწილადა!

ნანული ჯავახიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოველა

მექი ნამდვილი სახელი გახლავთ. თახორა ბიჭებმა შეარქვეს მეტსახელად. არ ვიცი, იმიტომ, რომ თახორაშვილია გვარად თუ თახვას ძეა თავად. მთავარი კი მის კმაყოფილ ცხოვრებაში ის არის, რომ მამის ბიჭია, საკუთარი ბიჭი. მამას უყვარს იგი და მამა არ უყვარს მას. როგორ და რატომ, ამასაც მოგახსენებთ.

ბიჭი ჯერ ისევ ორი წლისა იყო, როცა მამას შესციცინა:

— მამიკო!

— რა იყო? — ჰკითხა ბედნიერმა მამამ.

— მიყიდე ძაღლი!

— რად გინდა ძაღლი, შე ძაღლიშვილო?

— ძაღლი მინდა! ძაღლი მინდა! ძაღლი მინდა! — დაიწყო ტირილი და ფეხების ნერვული ბაკუნი მექიმ. და ძაღლი უყიდა მამამ.

— მამიკო! — ხელახლა დაიძახა მექიმ.

— რა იყო? — კვლავ იკითხა მამამ.

— სიპეტი მინდა! სიპეტი მინდა! სიპეტი მინდა!

— რა არის, ბიჭო, სიპეტი?

— ველო, — თქვა მექიმ.

— ველო რაღაა?

— ველოსიპეტი.

— ჯერ პატარა ხარ! — უთხრა და თვალები ჭერს მიაპყრო მამამ.

— ველო მინდა! სიპეტი მინდა! ველო მინდა! სიპეტი მინდა! — დაიწყო ტირილი და ფეხების ნერვული ბაკუნი მექიმ.

მამამ ველოსიპედი უყიდა მექის.

გავიდა წლები და შეიცვალა როლები:

— მამიკო! — ახლა მამამ მიმართა შვილს.

— რა იყო? — იკითხა მექიმ.

— რატომ ღებულობ ორიანებს?

— იმიტომ, რომ ადვილი დასათვლელია!

— როგორ თუ ადვილი?!

— აი ასე: ათ საგანში რომ ათი ხუთიანი მიიღო, ხომ ბევრი იქნება?

— რამდენი იქნება?

— აბა, შენ მითხარი, თუ ბიჭი ხარ!

— ორმოცდაათი.

— მართალია. ათ საგანში რომ ათი ორიანი მიიღო, რამდენი იქნება სულ?

— ოცი, შვილო!

— ჰოდა, ოცი მგონი ნაკლებია ორმოცდაათზე, არა?

— ნაკლებია.

— ჰოდა, მაგიტომაც ადვილი დასათვლელია.

— მამიკო! ახლა მამა იძახის.

— რა იყო? — კითხულობს შვილი.

— დღეში ხუთი მანეთი იყოფინე, ფული არა გვაქვს!

— მე კი მყოფნის, მაგრამ გოგოებს არ ჰყოფნის. — იძახის წამოჩიტული მექი.

გადის დრო.

— მამიკო!

— რა იყო! რა იყო! რა იყო! რა იყო!..

და მექიმ ქვეყანა აიკლო, არ სწავლობდა, ძალით დაამთავრებინეს. სამსახურში მოაწყვეს, სამსახურიდან გამოიქცა, ჯარში მიჰყავდათ, არ გაუშვეს, დაატოვებინეს!..

ახლა უკვე მექი აღარ უძახდა თავის მამიკოს. აღარც მამიკო მიმართავდა მექის ენამოჩლექით: — ლა იკო?

— თუ მამა ხარ, მამა იყავი, მომაწყვე უმაღლესში!

— ცოდნა არა გაქვს, ბიჭო!

— შენ ხომ გაქვს იმის ცოდნა, რა უნდა უცოდინარის მიღებას უმაღლესში?

დატრიალდა მამიკო, იძახდა: — რა იყო, რა იყო, რა იყოო; ჩააყარა ორმოცი ათასი მანეთი აფერისტს და მექი თახორა მაინც ვერ მოაწყო უმაღლესში.

— მამიკო! —იძახის მექი თახორა.

— რა იყო? — უპასუხებს მამა.

—ცოლი მინდა!

— მოიცა პატარა, საქმე საქმეზე მოიყვანე!

— საქმის მოყვანას ცოლის მოყვანა არ ჯობია?

— არ ჯობია!

— არ ვიცი მე მოცდა! ცოლი მინდა, ცოლი მინდა, ცოლი მინდა! — ხტუნავს მექი და ვიღაცა გოგოსთან ერთად მიხტის ქუთაისში და ქუთაისიდან ორ კვირაში ბრუნდება შინ გახარებულ-გაფუებულ-გაბედნიერებული.

— მამიკო!

— რა იყო?

— რძალს ჩაცმა-დახურვა უნდა!

— გავყიდი მამისეულ დიდ ბეჭედს.

— უი, მამიკო!

— რა იყო?

— ბეჭედი რძალს უნდა, მე კოსტიუმი მინდა, ფინური კოსტიუმი, რძალს „გრუნდიკი“ უნდა, მე ჟი... ჟი... ჟი... გული მიიიინდაააა! — ისევ ატირდა მექი

— არა მაქვს ფული!

— მამიკო!

— რა იყო?

— როდის ისწავლე ხუმრობა?

— ხუმ...

— მამიკო! — სიტყვას არ აცლის მექი თახორა და მრისხანედ ბრძანებს. მაგრამ ბრძანებით ფულის მოჭრა ყველას არ შეუძლია. მამიკომ რვაასი მანეთი ძლივს გამოჩხრიკა სახელმწიფოს სალაროდან.

და აი, ერთ ლამაზ, მშვენიერ, დიდებულ და საუკეთესო დღეს ტელეფონში გაისმა მექი თახორას ხმა:

— მამიკო!

— რა იყო?

— დამიჭირეს, ვზივარ!..

— რატომ, ბიჭო, შენ მოგიკვდეს მამა!

— მანქანა გავიტაცე, სხვისი მანქანა!

— რატომ, რა ღმერთი გაგიწყრა?!

— ახალი იყო, კეწკეწი და მომეწონა.

— შენ რა გითხარი, ყიდვას ვაპირებდი!

— იშოვე ფული?

— ვიშოვე.

— ჰოდა, დახარჯე ეგ ფული, აქ დახარჯე და გამომიშვებენ!

ამ დიალოგის ერთი თვის თავზე მექი გაასამართლეს და ექვსი წელი მიართვეს. ეს დღე კიდევ იმით იყო ღირსსახსოვარი, რომ მექის ორი წლის ბიჭუნამ დღეს პირველად დაიძახა:

— ბაბუკო!

— რა იყო? — იკითხა მრავალბედნიერმა პაპამ.

დანარჩენი? დანარჩენი თუ გაინტერესებთ, შეგიძლიათ თავიდან წაიკითხოთ ეს მოთხრობა.

გიორგი ივანიშვილი

როცა ჭურდბაცაცობას
ანაცვალა კაცობა,
„შნოიანად“ მონათლეს,
ამან მთლად გააცოფა!..
მხოლოდ „შნოიანებთან“

დოსტობდა და მღეროდა,
სხვა კაცს კაცად არ ცნობდა,
არც ნამუსის სჯეროდა.
ჩურჩულებდნენ: „რა კაცია,
შემძლე არის ყოვლისო,
ნიჭი აქვსო ამ ცხოვრების
სათავისოდ მოვლისო!
უშრომელსა შემოსავალს —
შნო აქვსო და — შოვნისო!“
„შოვნა, მაგრამ როგორ, რა გზით?“
— დრო დადგა და იკითხეს
და... თავის „შნოიანებთან“
ერთად ოხრავს იგი დღეს!..

ზოთა არაბული

(ყაზბეგის რაიონი)

ფიცი მწამს!..

ПОЮТ БРАТЬЯ АБЕСАДЗЕ

МИНИСТЕРСТВО КУЛЬТУРЫ СССР
МЕЛОДИЯ
ВСЕСОЮЗНАЯ ФИРМА ГРАМПЛАСТИНОК

თბილისის სპეციალურ მაღაზიებსა თუ კიოსკებში კვლავ იყიდება საკავშირო გრამფირფიტების ფირმა „მელოდიის“ მიერ გამოშვებული ფირფიტა „მღერიან ძმები აბესაძეები“. თუ ფირფიტაზე არსებულ წარწერას დავუჯერებთ, იგი 1979 წლის ჩანაწერია, და თუ ჩარჩოზე გაკეთებული ანოტაციის ქვეშ მდებარე წარწერას ვენდობით, იგი 1981 წლისა უნდა იყოს. ეს ლაფსუსი ამ ფირფიტისათვის ზღვაში წვეთიო, რომ იტყვიან, სწორედ ის არის, მთავარი კურიოზი სიმღერების ჩანაწერშია: ფირფიტის პირველ მხარეს ძმები აბესაძეები მღერიან „მოდი, მოდი, გაზაფხულოს“ და „მაყრულს“. ფირფიტის მეორე მხარეს, გამომცემელთა დასტურით, ძმებისავე შესრულებით ჩაწერილია „კალოსპირული“ და „თამარ ქალო!“. სინამდვილეში კი ამ მშვენიერ ორივე ქართულ ხალხურ სიმღერას რომელიღაც სხვა ანსამბლი ასრულებს და ვერც თუ ისე მარჯვედ. მოდი და ენდე ასეთ გამოცემას! ალბათ ამაზე იტყვიან: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

დურმიშხან ცინცაძე

ნახ. ირაკლი შავგულიძისა



უსიტყვოდ

მანანა ზაზიკაშვილი

სატირული ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალადა „სადკოზე“

მაცივარი შევიძინე,
ხიცხისგან რომ ვიწვოდი,
ლუმელივით თუ ათბობდა,
ეს მართლა არ ვიცოდი!..
ვეწვალე და ვერ ავაწყვე,
დავრჩი დარდის დარადა,
ბარმა „სადკომ“ შთამაგონა
ეს პატარა ბალადა.
მაღაზიას მივაკითხე
(მივადექი მანქანით),
უცებ ხალხი დამეხვია
ყვირილით და ქაქანით!..
და გულიას მოედნიდან
ავჭალამდე დავჭროდი,
გულზე ცეცხლი მეკიდა და
ვეღარაფრით ვაჭრობდი!..
ბარი „სადკო“ ჩავაბარე,
კი ვარგოდა ბარადა,
მაცივარზე დაიწერა
ეს პატარა ბალადა.

ენის გასატეხი

კოკამ კაკოს კაკლის კომბლით
შუბლზე კოპი დაასკუპა,
ამ კომბლითვე კაკომ კოკას
დაუბრუნა ხურდა უკან.

გაუმაძღრები

ეზიდებიან ქილებით,
ეზიდებიან ყუთებით,
რომ გაისივონ მუცლები,
გაიათკეცონ კუნთები,
თავზე საყრელად რომ ეწყოთ
ქათამი, მწვადი, ბოლოკი!..
შენ თუ მოგშივდა, იცოცხლე,
ქვაბს მოგიგდებენ მოლოკილს!
მოიმარაგეს არაყი,
ღვინო, სულგუნი, ნამცხვარი,
ხიზილალა და სათალი,
ცხრა დეკეული, ცხრა ცხვარი!
ცხრა დღე „ჰარალე“ იძახეს
და იცოტავეს ნამუსრი!..
იმ ქორწილს გადააყოლეს
სტუმარ-მასპინძლის ნამუსი!...

საქო

იმპორტული საქონელი
უბით დაგაქვს, საქო,
ზოგს გაყიდი, ზოგს იყიდი,
სარფიანად საქმობ!
სულ „ყიგულით“ დაგრიალებ,
დროს უქმად არ აქრობ,
ქორვაჭრობით მანქანაც და
აგარაკიც გაქვსო!

რა არის საძრახისი?!

ხაშურში მწვადი მიირთვა,
რიკოთზე — „ოსტრი“ ყაურმა,
ყურები გამოგვიჭედა
მერე იმ კაცის ხმაურმა.
ყაურმა ხაშით შეცვალა,
არაყიც წრუპა ნისიად,
ყვიროდა: „ცოტა გადავკარ,
განა ეს საძრახისია?!“

სალამი დუდუჩას!

სალამი, ჩემო დუდუჩა,
როგორ გიკითხო, რას შვრები?
ჩამოდი, ჩამოიყვანე
ეგ თვალხატულა ბავშვები!
მოგელი გულის ფანცქალით,
არ დაივიწყო ნაზუქი,
ბურვაკიც ჩამომიყვანე,
თქვენს ტყეში კარგად ნასუქი!
სულგუნიც გამოიყოლე,
არ იშოვება ქალაქში,
არ დაგავიწყდეს კაკალი,
წაბლიც ჩაყარე კალათში!
ხორაგით კარგად გატენე
შენი ცინცხალი „ვილისი“,
ცოლ-შვილიც წამოიყვანე,
უნდა განახოთ თბილისი!

შარზე იყავ შარიანი!..

ბედოვლათი ბიჭი იყავ,
„ბედისაგან ბეწავი“,
რასაც კი ხელს დაავლებდი,
ლეწავდი და ლეწავდი!..
შარზე იყავ შარიანი,
შინაურთან — შორიშორა
საკან-ციხე-კოლონიამ
ვერაფრით ვერ მოგიშორა!

ნახ. ნატო ამირეჯიბისა

ტყუილად მიყოფ ჯიბეში ხელს, კოოპერატიული
რესტორნიდან გამოვედი!



ნახ. ი. ბვილავასი

კოო „პირატი“ ვი

ნახ. ვ. კუციასი



— სად მიგაქვს ჩემი მაგიდა?!
— აბა, სკამიდან ვერ აგაგლიჯეთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯონი ბაზერაშვილი

ნარევი

● **დიდთოვლობამ** მთელი საქართველო გადაათეთრა, ბევრი კომუნალური სამსახური კი გაეშავა.

-:-:-

— როგორ გამოიყურებიან გარდაქმნის პირველ ეტაპზე ბიუროკრატები, კარიერისტები, მექრთამეები?

— ძველებურად, მხოლოდ ფერი შეიცვალეს.

-:-:-

ზოგიერთი ინტელიგენტი ინტელიგენტურად ფუთავს ნაგავს და ინტელიგენტურად დებს ჭუჩაში, რათა მეეზოვემ ინტელიგენტურად შეაგინოს და არა ქუნურად.

-:-:-

● **ბენზინის რიგში** დგომისას დრო მალე გავა, თუ იმღერებთ სიმღერას— „შინმოუსვლელო, სადა ხარ?"

-:-:-

მოსამართლე: — რაზე ჩივით?

მოსარჩლე: რაიონიდან ჩამოვედი, ფული მქონდა, ბინის შეძენის მიზნით ყოფილი მეუღლე ფიქტიურად გავათხოვე ქიტესა ვაგლახაშვილზე.

— ახლა რას თხოულობთ?

— ვინაიდან ვაგლახაშვილმა ფაქტობრივად დაიწყო ცხოვრება ჩემს მეუღლესთან, ფული დამიბრუნოს და ჩემი ყოფილი მეუღლე დაიტოვოს!

-:-:-

— სიდედრმა „ჟიგული" გიყიდა?

— ეს, ამას თუ ყიდვა ჰქვია!... კერძო ტაქსად მაშუშავებს!..

-:-:-

ინსპექტორი: — მართვის მოწმობაში რომ ჩაგიდვიათ ათმანეთიანი, ჯიბე ან საფულე არა გაქვთ?

მძღოლი: — თქვენ გეშლებათ, პატივცემულო ინსპექტორო! ეგ ათმანეთიანი კი არა, ჩემი „ტალონის" მაგნიტური ველია!

-:-:-

გთხოვთ მიშუამდგომლოთ, რათა ჩემი გვარი იღბალაშვილი შეიტანონ რეკორდების წიგნში: გლდანის მასივიდან ტელეფონით დავუკავშირდი სიდედრს ვარკეთილის მასივში და რვა მარტი მივულოცე!

-:-:-

ინსპექტორი აჩერებს „ჟიგულის".

— თქვენი მართვის მოწმობა და მანქანის პასპორტი! რატომ არა ხართ დაბმული ქამრით?

— ავერ, ბატონო, შეხედეთ, როგორ მაქვს გადაჭერილი, ლამის დავიხრჩო!,,

— მე გეკითხებით თქვენს გვერდით მჯდომ ქალბატონზე!

— ეგ ჩემი ცოლია!..

— მე ეგ არ მაინტერესებს! რატომ არაა დაბმული ქამრით?

— დაბმული რომ არ მყავდეს, ჩემი ცოლი როგორ იქნებოდა?

— ესე იგი თქვენ დაარღვიეთ მოძრაობის წესები და ვაფორმებ ჯარიმას!

— ნუ იზამთ მაგას, პატივცემულო ინსპექტორო! ჩვენ სასამართლოში მივდივართ განქორწინებაზე განცხადების შესატანად და იმიტომ ავუშვი!..

● **„ჟიგული"** რომ გადაბრუნდა, გზაც გამოჩნდა და ლოთი მძღოლიც.

● **უხარისხო „ანტიფრიზის"** ნაცვლად რადიატორში ნუ ჩაასხამთ ჭაჭის არაყს, თორემ მანქანაც გალოთდება და მძღოლიც!

● **შუქნიშანი** შუქით ნიშნის მიმცემია და არა ყვავილების თაიგული!

● **რაც** უნდა თავაწყვეტით აქროლო მანქანა, ფოტოინსპექტორს მაინც ვერ გაექცევი!

● **დაწესებულია** პრიზი ავტობუსების, ტროლეიბუსების, ტრამვაის ჯირითში. გამარჯვებული ექვსი თვით დამსახურებულად დაისვენებს.

● **მძღოლისათვის** თავაზიანობა და კულტურა ისევე აუცილებელია, როგორც მართვის მოწმობა.

● **თუ** საჭის ხახუნისგან პიჯაკი ჭიპის არეში გიცვდებათ, ეს იმის ნიშანია, რომ დროზე გაყიდოთ მანქანა და იაროთ ფეხით, რათა ღიპი დაგიპატარავდეთ!

● **თბილისის** გადათხრილ ქუჩებში მანქანის აკრობატული ტარება აკრძალულია! — ეს ყველა მძღოლმა უნდა იცოდეს!

● **თუ** რომელიმე ქუჩაზე „საცობში" საათობით მოგიწიათ დგომამ, ნუ ინერვიულებთ, დაურეკეთ მეუღლეს და სადილს მოგიტანთ, ოღონდ შეატყობინეთ ქუჩის ზუსტი მისამართი!

● **თოფის,** ცოლისა და მანქანის განათხოვრება ყოვლად დაუშვებელია!



ნახ. მ. აბაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲜᲢᲘᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲔᲛᲐ ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ, ᲕᲘᲜ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ, „ᲞᲝᲓᲚᲘᲐ“ ᲗᲣ „ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲚᲘ“,
ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘ ᲗᲣ ᲐᲜᲢᲘᲥᲠᲘᲡᲢᲔ (ᲐᲜᲣ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲘ).
ᲖᲔᲕᲘᲗ, ᲥᲕᲔᲕᲘᲗ ᲣᲤᲠᲝᲡᲝᲑᲐ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲞᲐᲜᲢᲐᲞᲣᲜᲗᲘᲗ
ᲓᲐ ᲛᲐᲡᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲣᲬᲧᲝᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲘᲡᲘ ᲮᲐᲗᲠᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲘᲡ!
ᲠᲐᲡ ᲣᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ, ᲢᲘᲤᲝ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝᲜ ᲐᲜᲢᲘᲤᲝᲗᲘ?
ᲐᲜ ᲠᲘᲗᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ ᲚᲝᲗᲘᲤᲝᲗᲔᲑᲡ ᲐᲜᲢᲘᲚᲝᲗᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲤᲝᲗᲘ?
ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲒᲕᲘᲒᲓᲘᲐ ᲐᲗᲘ „ᲞᲝᲜᲢᲘ“
ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲤᲣᲨᲣᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲠᲘᲙᲘᲗ ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲘᲡ!
ᲐᲡᲘ „ᲞᲝᲜᲢᲘᲪ“ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲝᲑᲡ ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲘ,
ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲯᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲮᲚᲡ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲘᲓᲡ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲪ, ᲛᲐᲗᲘ
ᲑᲝᲜᲓᲘᲪ!

ᲜᲐᲦᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲩᲐᲡᲐᲒᲓᲔᲑᲐᲓ „ᲞᲝᲜᲢᲡ“ ᲠᲝᲛ ᲐᲒᲓᲔᲑᲡ ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲘ,
ᲣᲜᲓᲐ ᲕᲗᲘᲝᲗ ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘ ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲜᲢᲘ!
ᲗᲣ ᲐᲠ ᲕᲐᲥᲪᲔᲕᲗ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲓ, ᲗᲣ ᲡᲣᲚ ᲕᲐᲒᲓᲔᲗ ᲛᲐᲠᲗᲝ „ᲞᲝᲜᲢᲘ“,
ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔᲐ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲥᲛᲔ, ᲐᲜᲣ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲘ!
ᲐᲛᲐᲜ ᲒᲕᲡᲐᲞ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲜ ᲒᲕᲦᲣᲞᲐ, ᲛᲘᲒᲕᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲐᲛ ᲢᲘᲤᲐᲛᲓᲘᲡ,
ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲕᲘᲑᲘᲠᲫᲕᲘᲗ ᲓᲘᲓ-ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲘᲡ!..
ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲬᲘᲜ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲕᲠᲑᲝᲓᲘᲗ, ᲑᲔᲕᲠᲡᲐᲪ ᲕᲖᲔᲘᲛ-ᲕᲜᲐᲓᲘᲛᲝᲑᲓᲘᲗ,
ᲣᲡᲐᲥᲝᲜᲚᲝᲡᲐᲓ ᲕᲕᲐᲭᲠᲝᲑᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲗᲘᲑᲝᲓ ᲕᲡᲐᲗᲘᲑᲝᲑᲓᲘᲗ!..
ᲐᲛᲐᲓ ᲘᲛᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲠᲐᲕᲚᲓᲐ ᲢᲘᲞᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲤᲐᲗᲘᲡ,
ᲦᲘᲞᲝᲚᲐᲜᲘ ᲗᲣ ᲣᲦᲘᲞᲝ, ᲛᲭᲝᲜᲔ ᲓᲘᲓᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲘᲡ!..
ᲒᲐᲘᲩᲘᲗᲐ ᲙᲝᲜᲢᲐᲓ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ,
ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲕᲐᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲔᲑᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢ-ᲙᲕᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲘ.
ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲖᲝᲒᲘ, ᲖᲝᲒᲘ ᲐᲢᲠᲘᲑᲣᲢᲘᲗ,
ᲒᲣᲚᲨᲘ ᲙᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲡᲘ ᲛᲚᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲥᲛᲜᲔᲚ ᲛᲐᲠᲗᲘᲕ ᲛᲝᲢᲘᲕᲡ.
ᲕᲘᲧᲝᲗ ᲤᲮᲘᲖᲚᲐᲓ, ᲐᲠ ᲒᲕᲐᲪᲓᲣᲜᲝᲡ ᲛᲘᲛᲘᲙᲝᲛᲑᲐᲛ ᲛᲐᲗᲘ „ᲛᲝᲠᲓᲘᲡ“,
ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲙᲚᲐᲕ ᲠᲝᲛ ᲣᲭᲘᲠᲗ ᲚᲝᲒᲘᲙᲐᲪ ᲓᲐ „ᲔᲠᲗᲘᲛᲝᲠᲗᲘᲪ“.
ᲣᲡᲐᲥᲛᲣᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲘᲔᲠᲘ, ᲣᲡᲐᲥᲛᲝᲓ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲓᲘ-ᲛᲝᲓᲘᲡ,
ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ... ᲛᲝᲓᲘᲡ!..
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐᲕᲡᲕᲘ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ (ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲕᲛᲐᲗᲣᲛᲐᲢᲘᲙᲝᲛᲓᲘ):
ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚᲐᲓ ᲮᲛᲝ ᲐᲠ ᲡᲯᲐᲠᲑᲝᲑᲡ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲚᲐᲡ ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲘ?...
ᲒᲐᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲓᲒᲛᲘᲡ?
ᲮᲛᲝ ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ: ᲔᲠᲗᲡ ᲕᲔᲑᲠᲫᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲐᲗᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ?..
ᲛᲫᲘᲛᲔ ᲢᲕᲘᲠᲗᲐᲓ ᲒᲕᲐᲬᲔᲕᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲘ ᲤᲣᲗᲘ,
ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲢᲔᲮᲘᲚᲐ ᲥᲐᲥᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲗᲘᲤᲣᲠᲗᲘ!..
ᲪᲔᲪᲮᲚᲘ — ᲖᲕᲘᲜᲔᲑᲘ ᲡᲘᲧᲐᲚᲑᲔᲗᲐ!.. ᲪᲐᲓ ᲐᲕᲘᲓᲔᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲤᲣᲗᲘ!
ᲐᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ, ᲒᲐᲜᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲙᲐᲜᲢᲘᲙᲣᲜᲢᲘ!
ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲠ ᲕᲧᲚᲐᲞᲝᲗ ᲡᲐᲢᲧᲣᲐᲠᲐ, ᲡᲐᲙᲔᲜᲙᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲢᲘᲑᲣᲢᲘ,
ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲕᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲪᲕᲐᲚᲝᲗ ᲑᲐᲢᲘ ᲑᲣᲗᲘ!
ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲨᲣᲥᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ, ᲑᲝᲚᲝ ᲕᲣᲧᲝᲗ ᲚᲘᲢᲝᲜ ᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡ!
ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐᲯᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲡ ᲕᲠᲘᲢᲝᲠᲝᲑᲓᲘᲗ!
ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲕᲘᲜ ᲒᲕᲐᲯᲝᲑᲝᲡ ᲠᲐᲨᲘ, ᲠᲝᲓᲘᲡ?!.
ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲧᲣᲓᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲕᲘᲡᲘ ᲒᲕᲔᲮᲐᲗᲠ-ᲒᲕᲔᲨᲘᲜᲝᲓᲘᲡ?!
ᲓᲐᲕᲣᲑᲠᲗᲐᲝᲗ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲔᲨᲛᲐᲙᲘ, ᲛᲢᲔᲠᲡ ᲕᲔᲮᲠᲝᲚᲝᲗ ᲥᲕᲐ ᲓᲐ ᲚᲝᲓᲘ,
ᲠᲝᲛ ᲐᲕᲔᲚᲝᲗ ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘ „ᲐᲑᲐᲠᲝᲢᲘ“!
ᲠᲐᲡ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ, ᲒᲘᲜᲓ ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔ ᲑᲘᲭᲗᲖᲔ ᲐᲗᲘ „ᲞᲝᲓᲚᲘ“?
ᲜᲐᲦᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ Ძ Ი Რ Ს ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲘ!

ᲘᲛᲔᲓᲘ ᲯᲐᲮᲣᲐ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ **ᲡᲝᲤᲔᲚ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲕᲘᲠᲘᲡ** მცხოვრებლები აღმასკომის პასუხით დაკმაყოფილებული ვართ, მაგრამ მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გვაქვს წყლის მიმართ, რადგან წლების მანძილზე დაუკმაყოფილებელი ვართ წყლით!..

X X X

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ **ᲡᲝᲤᲔᲚ ᲖᲔᲓᲐ ᲮᲘᲛᲝᲜᲔᲗᲘᲡ** მოსახლეობას გვრცხვენია, ამდენ საჩივრებს რომ ვწერთ, მაგრამ იმისი უფრო გვრცხვენია, გზა რომ არა აქვს სოფელს და უგზოობის გამო სტუმარიც დავკარგეთ და ავტობუსიც!...

X X X

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ **ᲡᲝᲤᲔᲚ ᲙᲘᲬᲘᲘᲡ** 1972 წელს აშენებული კულტურის სახლი 1981 წელს დაიკეტა და დღემდე უმოქმედოდ, ურემონტოდ და დანგრევის პირამდე მისული დგას!.. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ მისი ბედი რაიონის კულტურის განყოფილებას მიანდო, კულტურის განყოფილებამ კი სახსრების უქონლობა მოიმიზეზა!.. ძვირფასო „ნიანგო“! იქნებ თქვენ გვიპასუხოთ, ვინ უნდა გადაწყვიტოს სოფელ კიწიის კულტურის სახლის ბედი, რომლითაც ძალიან დაინტერესებულები ვართ ამ სოფლის ახალგაზრდობა?

X X X

ᲩᲕᲔᲜ, ᲒᲝᲠᲨᲘ, **ᲨᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲖᲔ, №6 ᲡᲐᲮᲚᲨᲘ** ვცხოვრობთ, მდინარე ლიახვის პირას, და ყოველ წუთს საშიშროების მოლოდინში ვართ, რადგან არ ვიცით, მდინარე ლიახვი, რომელსაც არავითარი ჯებირი არ ამაგრებს, რა დროს ინებებს აბობოქრებას! სხვა საყოფაცხოვრებო პრობლემებიც გვაწუხებს: მოგეხსენებათ, ცხრასართულიან სახლში ულიფტობა რასაც ნიშნავს! აქაოდა, ლიფტი არ მუშაობსო, მაღლა სართულზე მცხოვრებლები პირდაპირ ზევიდან ყრიან ნაგავს, ამას გაჭედილი კანალიზაციის მილიდან ამოსული „სურნელიც“ ემატება და ჩვენს ირგვლივ ისეთი ანტისანიტარიაა, ვირთხებს რომ გაუხარდებათ!..

არ იფიქროთ, ჩვენს გაჭირვებაზე პირველად შეგაწუხეთ. თქვენამდე ადგილობრივ ხელმძღვანელობასაც მივმართეთ, ბინათმშენებლობის კომბინატსაც, მაგრამ...

თქვენ კი გვიშველით რამეს, ძვირფასო „ნიანგო“?

X X X

„ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ“ 1988 ᲬᲚᲘᲡ მე-2 ნომერში დაბეჭდილი ე. კვიტაიშვილის ბარათი რომ წავიკითხეთ გული მოგვეფხანა, მაგრამ ჩვენს გაჭირვებას მაინც არ ეშველა — **ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲘᲡ ᲤᲔᲠᲓᲝᲑᲘᲡ II ᲛᲘᲙᲠᲝ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ, IV ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ I ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ** მცხოვრებლებს ათზე მეტი დასახელების ჟურნალ-გაზეთები გვაქვს გამოწერილი, რომელთაც სისტემატურად ვკარგავთ. „ნიანგო“, როგორ ფიქრობთ, დასაკარგავად გამოვიწერეთ ჟურნალ-გაზეთები?

ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲜᲐᲜᲐ ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ახლა სხვა არის ხანა!..



სამოცდაათის გავხდი,
კარგიც ვნახე და ცუდიც!...
ზოგი უქუდოდ დადის,
ზოგი — ნამუსის ქუდით!
ზოგს ლელო გააქვს რქებით,
ზოგს კი — ქიცინით კუდის!
ზოგს ბრწყინვალე აქვს სახე!
მხოლოდ სული აქვს მრუდი!
ზოგი პირდაპირ გძარცვავს,
ქურდულად გქურდავს ქურდი!..
ყველა ვხედავდით ამას, —
დარბაისლურად ვდუმდით!..

ბოლოს დაგვიდგა ხანა,
კაცურად დავუაცურდით,
ბევრ ქურდს და სალახანას
გამოვუნასკვეთ კუდი!
აბა, გაბედოს ვინმემ
პროტექტორობით შველა!..
ყველას ჩავამტვრევთ კბილებს —
„მგელსა და ტურა-მელას!..“

მიხა შილდელი

ნახ. დ. თოთიბაძისა

377
27. VI 88

— დიდო შაჰაბაზ, თქვენ რომ გვიბრძანეთ, კახეთში ვენახები აჩეხეთო, ზოგიერთ ქართველს უკვე აუჩეხია, საზამთრო მოუყვანია და როგორ მოვიქცეთ?!





— მამიკო, გეხვეწები, მოუშვი წვერი!
— რატომ?
— ზღაპრულ ბაბუას რომ დაემსგავსო და, ბოლოს და ბოლოს, ველოსიპედი მიყიდო!

ემილეკი დედამ საშხაპეში ხელ-პირის დასაბანად შეგზავნა. მალე იქიდან შეკითხვა გაისმა:
— დედი, ყურებიც პირისახეს ეკუთვნის?

—მამი, დღეს ხუთი ყოლი გავიტანე!
— ყოჩაღ, ბიჭიკო, რა მარჯვე ყოფილხარ!
— ახლა შენც უნდა იმარჯვო!
— არ მესმის?!.
— იმიტომ, რომ საჭიროა ხუთ ფანჯარაში მინის ჩასმა!

— მასწავლებელი პეპანეკს ეკითხება:
— რატომ იხრებით დაბლა წამდაუწუმ?
— გაცივებული ვარ და დედამ ცხვირსახოცი ჯიბეზე მიმიკერა, რომ არ დამეკარგოს.

— გამარჯობა, ფანდო! სად ცხოვრობ?
— იცი, ფოსტა სად არის?
— არა.
— ჰოდა, აი მის მახლობლად ვცხოვრობ.

— რა იწვევს ოფლს? — კითხულობს მასწავლებელი.
— მაგალითად, თქვენი შეკითხვები, მასწავლებელო! — უპასუხებს სტუდენტი.

— პეტი, ჩემს ჩაიში ბუზი ჩავარდა, ბუზი!..
— მერე რა გაღრიალებს? ბუზი ხომ ბევრს ვერ დალევს?!

— როგორ მოხდა, პეტკო, ისტორიაში ორიანი რომ მიიღე?
— რა ვქნა, მასწავლებელი სულ ისეთ რამეებს მეკითხებოდა, რაც მანამდე მოხდა, სანამ მე დავიბადებოდი.

— დედიკო, ფიზიკაში ხომ არ შემამოწმებდი?

— მაცალე ცოტა, მტვერს გადავწმენდ და შემდეგ.
— მაგრამ ამასობაში მე დამავიწყდება.

— პეპიკუ, ამ ვედრო წყლით სად მიიპარები?
— ჩუმად, დედიკო, მამამ მითხრა, ექვს საათზე გამაღვიძეო.

ტელეფონი რეკავს. ჟურმილს პატარა პეტია იღებს:
— მამიკო სახლში არ არის, არც დედა. შინ ვართ მე, ბებია და ფისო. ბებია ყრუა, ფისომ ლაპარაკი არ იცის, ნახვამდის!

— აბა, სადა გაქვს დღიური, მაჩვენე! — ეუბნება მამა შვილს.
— ირკომ იგი სახლში წაიღო, თავისი მშობლები ცოტა რომ შეეშინებინა.

— ბატონო ნოვაკ, თქვენ არ გაწუხებთ, მე რომ მთელი დღე ფორტეპიანოზე ვუკრავ?— ეკითხება ფრანტიშეკი მეზობელს.
— დიახ, მაწუხებს! ძალიან მაწუხებს!
— ხომ არ ეტყოდით ამას დედაჩემს?

პეტრიკი კბილის ექიმთან შეიყვანეს. მოსაცდელში დედა ძალიან ღელავს. როგორც იქნა, ბავშვი გამოვიდა.
— კიდევ გტკივა კბილი, შვილიკო?
— არ ვიცი, დედი, ექიმმა კბილი თავისთან დაიტოვა.

იანიჩკამ და პეტიჩკამ პლაჟზე ერთმანეთი გაიცნეს.

— იანიჩკო, — ეუბნება პეტია დამშვიდობებისას, — ძალიან, ძალიან მომწონხარ, ცოლად გამომყვები?
— მეც ძალიან მომწონხარ, მაგრამ თუ შეგიძლია მარჩინო?
— ნუ გეშინია. სახლში მაცივარი პროდუქტებით გამოტენილი გვაქვს.

— ევიჩკო, ფეხებზე რამე დამაფარე და ტელევიზორი გამორთე!
— არ შემიძლია, კარლიკუ. ჩვენ კინოთეატრში ვართ!..

— რა გინდა დაბადების დღისთვის გაჩუქო?
— კატა.
— რატომ?
— იმიტომ, რომ სულ მე არ მომხვდეს, როცა საკუჭნაოში რაღაც დაიკარგება.

პატარა ევჟენეკი ტირის.
— რა გატირებს, გენაცვალე? — ეკითხება დედა.
— შენ ხომ მითხარი, შოკოლადი ყველასთვის მიმეწოდებინა?
— მერე?
— ჰოდა, დეიდას მივაწოდე, მან კი შეშიჭამა.

— იარდო, მართალია, რომ შენ უთხარი ჩემზე ფრანტას, ვირიაო?
— მართალი კი არის, მაგრამ მისთვის მე ეს არ მითქვამს.

— პავლე, ეგ ბარათი ვისგან არის?
— ერიკასგან.
— ფურცელზე რომ არაფერი წერია?
— იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ველაპარაკებით.

პატარა ბავშვი მთელი დღე და ღამე ტირის. უფროსი ძმიკო ეკითხება დედას:
— დედი, საიდან მოიყვანეს ეს პატარა ბავშვი?
— წეროებმა მოგვიყვანეს სამხრეთიდან.
— ახლა იქ რა სიწყნარეა, არა?

ჩეხურიდან თარგმნა
სანდრო ჭელიძემ

7-88

88-377

ნახ. გ. ლომიძისა

ზეთანხმეგის ხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ №11 (1765). ივნისი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 04.05. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.06. 88 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი **1,5. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ** კის გამომცემლობა, ლენინის 14, შეკვ. 1189 უე 04926 ტირაჟი 139000 ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

ეროვნული ბიბლიოთეკა